



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის  
სახელმწიფო სამხატვრო აკადემია

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა  
დიზაინის ფაკულტეტი  
საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნება

**პროგრამის ხელმძღვანელი :**

სოსო ქოიავა, მოწვეული პროფესორი ,  
საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნების სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი

დამტკიცებულია თსსა დიზაინის საბჭოს მიერ სხდომის ოქმი №23  
თსსა აკადემიური საბჭოს 2023 წლის 24 აპრილის  
2023 წლის 5 აპრილის სხდომის ოქმი № 5

**პროგრამის სახელწოდება :** 0214.1.3 საიუველირო ხელოვნება/Jewelry Arts გამოყენებითი ხელოვნება/(ხელნაკეთობა) AppliedArt/Handicraft

**ფართო სფერო (მიმართულება) :** 02 ხელოვნება, ჰუმანიტარული მეცნიერებები Arts and Humanities

**ვიწრო სფერო (დარგი/სპეციალობა) :** 021 ხელოვნება Arts

**დეტალური სფერო (ქვედარგი/სპეციალიზაცია) :** 0214 გამოყენებითი ხელოვნება / (ხელნაკეთობა) Handicrafts

**განათლების საფეხური :** უმაღლესი განათლების მეორე საფეხური/ მაგისტრატურა (7)

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია :** ხელოვნების მაგისტრი საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნებაში / Master of Fine Art in Jewelry and metalworking

**მაგისტრატურის ხარისხის მინიჭების მოთხოვნა :** მაგისტრატურის სრული კურსის წარმატებით გავლისა და საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომის მისაღებად მაგისტრმა უნდა დააკმაყოფილოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა :**

პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება სპეც.კომპოზიციის და უცხო ენის (II დონე) გამოცდით. პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ინფორმაცია გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის უნივერსიტეტის ვებგვერდის მეშვეობით [www.art.edu.ge](http://www.art.edu.ge). მოქმედებს ცხელი ხაზი.

**საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია :** ხელოვნების მაგისტრი საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნებაში / Master of Fine Art in Jewelry and metalworking

**სწავლების ენა :** ქართული

**სწავლის ხანგრძლივობა :** 2 წელი (4 სემესტრი)

**პროგრამის მოცულობა - 120 კრედიტი (ECTS), მათ შორის :**

- სპეციალობის დისციპლინები - 80 კრედიტი
- საუნივერსიტეტო დისციპლინები - 12 კრედიტი
- არჩევითი დისციპლინები - 28 კრედიტი

1 კრედიტის მოცულობა - 25 სთ.

ერთი აკადემიური წელი - 2 სემესტრი, კრედიტის მოცულობა - 60 (ECTS)

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75 კრედიტისა

1 სემესტრი მოიცავს - სასწავლო კვირათა ერთობლიობას და სასესიო პერიოდს, აქედან, სააუდიტორიო მეცადინეობები - 15 სასწავლო კვირა (16,17,18 კვირა)

1 სემესტრის განმავლობაში - ერთი შუალედურის გამოცდა.

სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ - დასკვნითი გამოცდა.

დასკვნითი გამოცდებისთვის განკუთვნილია - 2 კვირა და დამატებით გამოცდისათვის 1 კვირა

### **პროგრამის აღწერა**

დისციპლინის სფერო წარმოადგენს ქართული ხელოვნების ერთ-ერთ უძველეს დარგს, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი განვითარების ისტორია აქვს და კულტურული მრავალფეროვნების მნიშვნელოვანი ნაწილია. როგორც დარგი დღესაც ინარჩუნებს ერთ-ერთ წამყვან ადგილს თანამედროვე დეკორატიულ, გამოყენებით სფეროში. თანამედროვე მაღალი ხარისხის მხატვრული საიუველირო ნაწარმისა და ლითონის დეკორატიული პლასტიკის განვითარების, დიზაინერული იდეების ორიგინალური ნიმუშების შექმნაზეა ორიენტირებული და დეკორატიულ- გამოყენებითი ხელოვნების სფეროში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. მოიცავს ფერადი, შავი ლითონებისა და სხვა მასალათა მხატვრულ დამუშავებას. საიუველირო და სამჭედლო ხელოვნებას, რომელიც თავის მხრივ ტექნიკური შესრულების მრავალფეროვნებით ხასიათდება - იქნება ეს მეტალების და მათი შენადნობების მხატვრული სხმულების მიღება, ჭრა, გრავირება, მოსევადება, მომინანქრება, ინკუსტრაციით დამუშავება და სხვა. მასალის და ტექნიკის მრავალფეროვნება იძლევა სხვადასხვა დიზაინერული და ტექნოლოგიური ამოცანების გადაჭრის საშუალებას, როგორც საიუველირო საქმეში, ისე ინტერიერსა თუ ექსტერიერის გაფორმების მიმართულებით. სწორედ ეს განაპირობებს ამ პროფესიის მქონე სპეციალისტებზე მზარდ მოთხოვნას. ხელოვნების ამ დარგში ქართულმა კულტურამ შემოგვინახა არა მარტო სავსებით სრულქმნილი ნაწარმოებები, არამედ გამოიმუშავა სპეციფიკური ხასიათი, რომელიც საუკუნეებით დაგროვილი გამოცდილებისა და ადგილობრივი ტრადიციების საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს. შესაბამისად, აღნიშნულ სფეროში დარგის მდიდარ ეროვნულ და საერთომორისო ტრადიციასა და კულტურაზე დაყრდნობით, მნიშვნელოვანია მისი დაცვა და განვითარება, თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც ამ მიმართულებით, როგორც პროგრამის, ისე უმაღლესი სახელოვნებო განათლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან და პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენს.

დარგის მიმართულებები მრავალფეროვანია, მოიცავს კომპლექსურ, კვლევით, მხატვრულ-ესთეტიკური, შემოქმედებითი, ტექნოლოგიური, პრაქტიკულ-ლაბორატორიული მუშაობის სინთეზურ პროცესებს, როგორც ინდივიდუალური შემოქმედებითი იდენტურობის განვითარებისა და ექსკლიუზიური ხელნაკეთი ტექნოლოგიების, ასევე საწარმოო ინდუსტრიული და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, სერიული წარმოების მიზნით სამაგისტრო პროგრამა შეიცავს მეორე საფეხურზე აღმავალ

პროფესიონალურ კომპეტენციებს. პროგრამის ხერხემალი ეფუძვნება I საფეხურზე (საბაკალავრო) მიღებული განათლების გაღრმავებას. დასახული კრეატიული დიზაინერული თუ კვლევითი ამოცანის ორგანულ გადაჭრა-განხორციელებას. პროგრამა შედგენილია თემატური იდეის, მასალაში შესრულების, რთული აზროვნებისა და ახალი ტექნოლოგიებისა და თუ დაკარგული ტექნოლოგიების აღმოჩენის ბაზაზე. დარგის, გამოცდილების და განვითარების გათვალისწინებით შექმნილი უნარ-ჩვევები იძლევა იმ ცოდნას რომელიც ადეკვატურია მსოფლიოს სხვა და სხვა უნივერსიტეტების სამაგისტრო პროგრამების, მხოლოდ შეჯერებულია უშუალოდ ქართულ ტრადიციასა და კულტურასთან, როგორც დარგის გამოცდილებით. პროგრამა აღრმავებს საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნებაში ძირითად მასალებთან მუშაობის კომპეტენციებს, მათ სინთეზს სხვა და სხვა დამხმარე მასალებთან (ლითონი, შამოტი, ხე, თაბაშირი) და კვლევას. ტექნოლოგია-ტექნიკები ხორციელდება ახალი თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების გამოყენებით, დაგროვილი თეორიული ცოდნის მობილიზაციისა და პრაქტიკულად მისი განხორციელების საფუძველზე, შემდეგ კი ამ კომპეტენციების სინთეზით დისციპლინა მოითხოვს ესთეტიკურ, კრეატიულ მონუმენტურ აზროვნებას და ვიზუალური ფორმების ფუნქციონალურ დანიშნულებას მიზნობრივი ორიენტირებით, ასევე ინტერიერსა და ექსტერიერში. პროგრამა ორიენტირებულია დარგის სპეციალისტების პროფესიონალურ აღზრდაზე, რომლებიც პროგრამის ფარგლებში ათვისებული თანამედროვე და უძველესი ტექნოლოგიების გამოყენების სინთეზით და პრაქტიკული ცოდნით შეძლებენ სფეროში წარმატებულ საქმიანობას. ასევე, პროგრამა მოიცავს, როგორც ვიზუალური ხელოვნების II საფეხურის სამაგისტრო კურსს: ხატვა, ფერწერა, ქანდაკება, აგრეთვე ხელოვნების ისტორიას, ციფრულ ტექნოლოგიებს და ზოგად არჩევით საგნებს. იგი ორიენტირებულია თანამედროვე ქართული მხატვრული დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნების სპეციალისტების აღზრდაზე, რომლებიც მომავალში თავად ასწავლიან ამ დისციპლინებს, როგორც უმაღლეს ისევე ზოგადსაანამანათლებლო დაწესებულებებში. ამრიგად, პროგრამის სწავლების სტრატეგია არის კომპლექსური მიდგომა, სადაც სამეცნიერო-თეორიულ ცოდნაზე დაყრდნობით, შემოქმედებით- საშემსრულებლო და პრაქტიკული საქმიანობის ტექნიკურ - ტექნოლოგიური პროცესების სინთეზით, იქმნება მუდმივად განვითარებადი საგანმანათლებლო სისტემა, რაც საშუალებას მოგვცემს მოვამზადოთ შესაბამისი დარგის კვალიფიცირებული სპეციალისტები.

პროგრამა შემუშავებულია სახელწიფო სამხატვრო აკადემიის სასწავლო პროცესისათვის და არის სტუდენტთა პროფესიული და შემოქმედებითი აზროვნების გაღრმავებასთან და სრულყოფასთან განუყოფელ კავშირში.

### **პროგრამის მიზანი**

მოამზადოს საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნების სფეროში მაღალკვალიფიციური დიზაინერები. კურსდამთავრებულები ოქრომჭედლობის, ტიხრული მინაქრის, ლითონის დეკორატიულ პლასტიკის სპეციფიკური სასწავლო კურსების გავლის შემდეგ ამ დარგის პროფესიონალებად ჩამოყალიბდებიან, რომლებსაც შეეძლებათ დამოუკიდებლად შექმნან ლითონის დეკორატიული ნაწარმი ინდივიდუალური მხატვრულ-შემოქმედებითი ნიმუშებიდან რთულ სინთეზურ ინსტალაციამდე, კერძოდ :

- ჩამოაყალიბოს საიუველირო და ლითონის დამუშავების ხელოვნებაში ძირითად მასალებთან მუშაობის კომპეტენციები, მათი სინთეზი და სხვა და სხვა დამხმარე მასალებთან ურთიერთდამოკიდებულება.
- განვითარდეს სივრცობრივი აზროვნება, თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისების, დაგეგმვის და ამ ტექნოლოგიების გონივრული გამოყენებით.
- პროგრამა უზრუნველყოფს მაღალკონკურენტუნარიანობას და ზრდის მისი დასაქმების სპექტრს თანამედროვე დიზაინის სფეროში.
- ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით ქართული საიუველირო ხელოვნებისა და ლითონის დეკორატიული დამუშავების სპეციფიკის გათვალისწინებით მოხდეს ინტეგრაცია მსოფლიო დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებისთან.

**სამაგისტრო პროგრამის ძირითადი ამოცანაა :**

- მოდერნიზებული საგანმანათლებლო სასწავლო სივრცის ორგანიზება
- სასწავლო პროცესში ჩართვა - ადგილობრივი და საერთაშორისო შემოქმედებითი წამყვანი სპეციალისტების
- მასალების შერჩევა/დამუშავების, კონსტრუირება/მოდელირებისა და სხვადასხვა ტექნიკებით/ტექნოლოგიებით მიღებული დასრულებული შემოქმედებითი ნიმუშები საწარმოო პრაქტიკის პროცესში კონკრეტული პროექტების შემუშავება
- დამოუკიდებელი რთული, კრეატიულ-კონცეპტუალური ამოცანის გადაწყვეტა და მისი სათანადო პრეზენტაცია, როგორც ტრადიციული მეთოდებით, ასევე თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, მათ შორის უცხო ენაზე
- კურსდამთავრებულ სპეციალისტს გააჩნდეს თანამედროვე დიზაინისათვის დამახასიათებელი კრიტერიუმების ზუსტი და დროული განსაზღვრის უნარი, დამოუკიდებლად შეძლოს რთული, კრეატიულ-კონცეპტუალური ამოცანის გადაწყვეტა და მისი სათანადო პრეზენტაცია ზოგადად დიზაინის სფეროში, მათ შორის უცხო ენაზე, შეძლოს პროგრამის გავლის შედეგად მიღებული ცოდნისა და კომპეტენციების დამოუკიდებლად გადაცემა საგანმანათლებლო მიზნებისათვის
- პროგრამის გავლის შედეგად მიღებული ცოდნისა და კომპეტენციების დამოუკიდებლად გადაცემა საგანმანათლებლო მიზნებისათვის.

**სწავლის შედეგები**

პროგრამის სწავლის შედეგები - შესაბამისობაშია გამოყენებითი ხელოვნების / (ხელნაკეთობის) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელთან. უმაღლესი განათლების I და II საფეხურები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები ბრძანება MES 5 22 0000897354 12.08.2022) ოქმი გამოყენებითი ხელოვნების/ (ხელნაკეთობის) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ)

• **ცოდნა / გაცნობიერება**

1. ახდენს გამოყენებითი ხელოვნების ძირითადი პრინციპების და ამ პრინციპების სამკაულისა და ლითონის ხელოვნების სფეროში გამოყენებას. არსებული ცოდნის ხელახალი გააზრებისა და ნაწილობრივ გადაფასების გზით ცოდნის განახლებული ფარგლების გაცნობიერებას.
2. იცის ინტეგრირების, დამოუკიდებლად თავის გართმევა სირთულეების და საიუველირო და ლითონი მასალების და სხვა და სხვა სინთეზური მასალების გამოყენებით მოახდინოს იდეების რეალიზაცია.
3. იაზრებს კრეატიულ, პრაქტიკულ და კვლევითი სწავლის ისეთ ცოდნებს, რომელიც თვითგანმსაზღვრელი ან დამოუკიდებელი სწავლისა და შემოქმედების გაგრძელების საშუალებას იძლევა.
4. გაცნობიერებული აქვს საკაცობრიო სპექტრში ეროვნული და თანამედროვე გამოყენებითი ხელოვნების ესთეტიკის პრინციპების

გათვალისწინება და ინტეგრაცია. საიუველირო ხელოვნებისა და ლითონის მხატვრულ-დეკორატიული პლასტიკის, როგორც დარგის უშუალოდ დამახასიათებელი სპეციფიური ღირებულებები.

- **უნარი**

5. აქვს უნარი გამოყენებითი ხელოვნების ძირითადი პრინციპების საიუველირო და ლითონის ხელოვნების დეკორატიულ-გამოყენებით სფეროში გამოყენების, ნაწარმის მხატვრულ-ესთეტიური და ფუნქციონალური დანიშნულების განსაზღვრის. ანახლებს მიღებული ცოდნის ტრანსფორმირების საფუძველზე შემოქმედებითად აზროვნებას.
6. აყალიბებს გამოყენებითი ნამუშევრის კრიტიკულ გარჩევას, ესთეტიკურ შეფასებას და ამ შეფასების დასაბუთებას. ითვისებს თემის, იდეების, მოვლენების მხატვრულ ფორმაში განხორციელებისას მიზეზშედეგობრივი ანალიტიკურ აზროვნების შედეგს.
7. ანახლებს თანამედროვე ქართული გამოყენებითი ხელოვნების ესთეტიკური და კულტურული თავისებურებების გაცნობიერების მსოფლიო თანამედროვე ხელოვნების კონტექსტში.
8. თეორიულ-პრაქტიკული კვლევითი ცოდნისა და კრეატიული უნარების გამოყენება ახალ ან უცნობ გარემოში თავიანთი დისციპლინასთან დაკავშირებულ ან მომიჯნავე (ინტერდისციპლინარულ) კონტექსტში.
9. ითვისებს მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო კონგრესებში და სიმპოზიუმებში თავისი დარგის პოპულიზაციისათვის. აქვს საჯარო პრეზენტაციების მოწყობის უნარი ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით ( ვიდეო, ფოტო, კინო მასალა) მათ შორის უცხო ენაზე.

- **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

10. პროფესიული ეთიკის ჩარჩოებში, საკუთარი მხატვრული ხედვის, შემოქმედებითი პოზიციის პროფესიულ გარემოში გარკვეულად, გასაგებად გატანის, ესთეტიკისა და ვიზუალური ხელოვნების შესწავლილ ფუძემდებლურ კანონზომიერებებზე დაყრდნობით არგუმენტირებული განმარტების შესაძლებლობა.
11. საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, მათ შორის, თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაციები, პრეზენტაციის ფორმების დაგეგმარება/განხორციელება და ა.შ.

**სწავლება/სწავლის მეთოდები :**

თეორიული-პრაქტიკული, კომპლექსური (საგანმანათლებლო-შემოქმედებითი გუნდური დაინდ.პროექტები), საჭიროების შემთხვევაში გიბრიდული.

**პროგრამის შინაარსიდან და მიზნებიდან გამომდინარე სწავლება-სწავლების მეთოდები მიმდინარეობს შემდეგი ფორმატით :**

ლექცია,თეორია/ პრაქტიკა, ინტერაქტიული სწავლება, ინდივიდუალური ან/და ჯგუფური სწავლება, დემონსტრირების მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება , პრაქტიკული მეთოდები, ლაბორატორიული მეთოდი , სინთეზის მეთოდი, ანალიზის მეთოდი, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება და სხვ. (გამოყენებული მეთოდები მითითებულია პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში)

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა :**

სასწავლო კომპონენტის შეფასება ასეულიანია, მრავალკომპონენტური. შეფასების კრიტერიუმები დეტალურადაა გაწერილი კონკრეტული საგნის სილაბუსში.

სტუდენტის მიერ გაწეული შრომის შეფასება, სემესტრის განმავლობაში ითვალისწინებს 2 გამოცდას :

- შუალედური შეფასება - 40 ქულა (მაქსიმალური)
- დასკვნითი შეფასება - 60 ქულა (მაქსიმალური)

სასწავლო კომპონენტის შეფასების საერთო ქულა - 100 ქულა (მაქსიმალური).

ქულები	შეფასება		შეფასების კვალიფიკაცია
91% - 100%	A	ფრიადი	დადებითი
81% - 90%	B	ძალიან კარგი	დადებითი
71% - 80%	C	კარგი	დადებითი
61% - 70%	D	დამკმაყოფილებელი	დადებითი
51% - 60%	E	საკმარისი	დადებითი
41% - 50%	FX	ვერ ჩააბარა (სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება, ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება	უარყოფითი
0% - 40%	F	ჩაიჭრა (კურსი თავიდან უნდა გაიროს (სტუდენტის მიერჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი)	უარყოფითი

**სამაგისტრო ნაშრომის შეფასება :**

შეფასების მეთოდებად გამოყენებული განვითარების დინამიკის მაჩვენებელი ინსტრუმენტი - პრეზენტაცია, პორტფოლიო, ექსპოზიცია, გამოფენა, ინტერვიუ, რეფერატი და სხვ.

**შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს :** ვალიდურობას ; სანდოობას ; გამჭვირვალობას ; სამართლიანობას ; ობიექტურობას  
სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს მასალაში შესრულებულ ნამუშევარს, რომელიც მოიცავს როგორც მხატვრულ-დიზაინერულ ასევე კონსტრუქციულ-ტექნოლოგიურ კვლევის ყველა კომპონენტს.

სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა შეადგენს 30 ECTS, სრულდება IV სემესტრში – 15 კვირის განმავლობაში.

სამაგისტრო ნაშრომი ფასდება დასკვნითი გამოცდის სახით.

დასკვნითი გამოცდა ტარდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვის ფორმატში ;ხდება შემოქმედებითი პროექტის ექსპონირება (დაცვა), რომელიც ტარდება თსს აკადემიის დარგობრივი (საფაკულტეტო) კომისიის წინაშე.

მაგისტრანტს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც არის მაგისტრი (ან მაგისტრთან გათანაბრებული) ან დოქტორი.

სამაგისტრო ნაშრომი სრულდება მეოთხე სემესტრის განმავლობაში და მისი მოცულობა შეადგენს 30 კრედიტს.

სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს საიუველირო და ლითონის ნაკეთობის, სინთეზურიკომპლექსის, ინტერიერის ან ექსტერიერის ობიექტის განახლებული ან პრინციპულად ინოვაციური დიზაინის დასრულებულ პროექტს, რომელშიც შედის შემდეგი ძირითადი კომპონენტები :

1. გრაფიკული პროექტი (სტანდარტული მასშტაბის ორთოგონალური პროექციები ნახაზში და ფერში, იზომეტრიული გამოსახულება, ერგონომიკული სქემა, აუცილებელი ჭრილები და კვეთები);
2. მაკეტი (მოდელი) სტანდარტულ მასშტაბში;
3. კვლევით-ანალიტიკური რეფერატი, ვიზუალური მასალის დართვით (10-20 გვერდი).

სამაგისტრო ნაშრომი შეიძლება წარმოდგენილი იქნეს განსხვავებული სახით და ფორმატით. მაგ. ძირითად კომპონენტებს შეიძლება დაემატოს აუდიო-ვიდეო მასალა, ანიმაცია, პერფორმანსი და სხვა ელემენტი.

**სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები :**

- საპროექტო თემის აქტუალურობა და კონცეპტუალური გააზრება - 10 ქულა
- დიზაინ - პროექტირება/მოდელირება, გადაწყვეტის ორიგინალურობა - 10 ქულა
- დიზაინის ფუნქციონალურობა - 10 ქულა
- დიზაინის კონსტრუქცია - 10 ქულა
- დიზაინის ტექნოლოგია - 10 ქულა
- დიზაინის ერგონომიკა და უსაფრთხოება - 10 ქულა
- დიზაინის ესთეტიკა და სტილისტიკა - 10 ქულა
- პროექტის შესრულების ხარისხი - 10 ქულა
- რეფერატი - 10 ქულა
- პრეზენტაცია - 10 ქულა

**დასაქმების სფეროები :**

სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს შესაბამისი მიმართულების მცირე საწარმოებში, შეუძლია ააწყოს საკუთარი სახელოსნო და საკუთარი ბიზნესი, შეუძლია შემოქმედებით გამოფენებში მონაწილეობის მიღება, საკუთარი ნაშრომის რეალიზაცია, ჩაატარონ სტუდიური სამუშაოები, ვორქშოფები, მასტერკლასები დამწყები დიზაინერებისათვის, დიზაინით დაინტერესებული აუდიტორისათვის, აბიტურიენტებისათვის

- პროგრამის სტრუქტურა (სემეტრების მიხედვით გათვალისწინებული კრედიტების ოდენობა )

საგნების დასახელება	I	II	III	IV	EGTS
საუნივერსიტეტო დისციპლინები	6	6			12
არჩევითი დისციპლინები	9	9	10		28
სპეციალობის დისციპლინები	15	15	20	30	80
<b>სულ</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>120</b>



- პროგრამის სასწავლო გეგმა

საგნების დასახელება	ECT S/	ლექცია (სემესტრი)	სთ	ლექცია-პრაქტიკუმი	სემინარი/სთ	შუალედური შეფასება	დასკვნით გამოცდა	სამაგისტრო ნაშრომი
<b>საუნივერსიტეტო დისციპლინები</b>								
პედაგოგია	3/75							
უცხო ენა I	3/75							
უცხო ენა II	3/75							
მენეჯმენტი	3/75							
<b>სულ:</b>	<b>12</b>							
<b>არჩევითი დისციპლინები</b>	<b>28</b>							
<b>სპეციალობის დისციპლინები</b>								
კომპოზიცია-I ლითონის მხ. დამუშავება-ჭედვა-ჭედურობა	5/125	15	6	94	21	90	2	2
მუშაობა მასალაში I ლითონის მხ. დამუშავება-ჭედვა	5/125	15	6	64	11	60	2	2
მუშ.მასალაში ჭებადურობა I	5/125	15	3	49	1	45	2	2
კომპოზიცია II თანამედროვე სამკაული, საიუველირო პლასტიკა	5/125	15	6	94	21	90	2	2
მუშაობა მასალაში II თანამედროვე სამკაული	3/75	15	6	64	11	60	2	2
მუშაობა მასალაში II საიუველირო პლასტიკა	2/50	15	3	49	1	45	2	2
დეკ.პლასტიკა ფორმის მერწვა რბილ მასალაში II	3/75	15	6	64	11	60	2	2
ჩამოსხმა თაბაშირში II	2/50	15	3	49	1	45	2	2
კომპოზიცია III / საგამოფენო ტიხრული მინანქარი	5/125	15	6	94	21	90	2	2
მუშაობა მასალაში / III ტიხრული მინანქარი	5/125	15	6	94	21	90	2	2
დეკორატიული პლასტიკა /III ტრადიციული და თანამედროვე ფორმის სინთეზი	2/50	15	3	49	1	45	2	2
ქვა და ვლითონი III	3/75	15	6	64	11	60	2	2
ტექნოლოგია- მასალათმცოდნეობა -II	3/75	15	6	64	11	60	2	2
კონსტრუირება II	2/50	15	3	49	1	45	2	2

ტექნოლოგია-მასალათმცოდნეობა III	3/75	15	4	63	13	56	2	2
კონსტრუირება III	2/50	15	3	49	1	45	2	2
სამაგისტრო ნაშრომი	30/750							
<b>სულ:</b>	<b>80</b>							

- **სასწავლო რუქა**

საგნების დასახელება	კურსზე დაშვების წინაპირობა	I	II	III	IV	EGTS
<b>საუნივერსიტეტო დისციპლინები</b>		<b>6</b>	<b>6</b>			<b>12</b>
პედაგოგია	წინაპირობის გარეშე	3				
უცხო ენა I	წინაპირობის გარეშე	3				
უცხო ენა II	წინაპირობის გარეშე		3			
მენეჯმენტი	წინაპირობის გარეშე			3		
<b>არჩევითი დისციპლინები</b>		<b>9</b>	<b>9</b>	<b>10</b>		<b>28</b>
<b>სპეციალობის დისციპლინები</b>		<b>15</b>	<b>15</b>	<b>20</b>	<b>30</b>	<b>80</b>
კომპოზიცია I / ლითონის მხატვრული დამუშავება ჭედვა -ჭედურობა	წინაპირობის გარეშე	5				
მუშაობა მასალაში I / ლითონის მხატვრული დამუშავება-ჭედვა	წინაპირობის გარეშე	5				
მუშაობა მასალაში ჭედურობა_I	წინაპირობის გარეშე	5				
კომპოზიცია II/ თანამედროვე სამკაული, საიუველირო პლასტიკა	წინაპირობის გარეშე		5			
მუშაობა მასალაში II / თანამედროვე სამკაული	წინაპირობის გარეშე		3			
მუშაობა მასალაში II / საიუველირო პლასტიკა	წინაპირობის გარეშე		2			
დეკ.პლასტიკა ფორმის ძერწვა რბილ მასალაში II	წინაპირობის გარეშე		3			
ჩამოსხმა თაბაშირში_II	წინაპირობის გარეშე		2			
კომპოზიცია III / საგამოფენო ტიხრული მინანქარი	წინაპირობის გარეშე			5		
მუშაობა მასალაში III ტიხრული მინანქარი	წინაპირობის გარეშე			5		
დეკორატიული პლასტიკა III /ტრადიციული და თანამედროვე ფორმის სინთეზი	წინაპირობის გარეშე			2		
ქვა და ლითონი III	წინაპირობის გარეშე			3		
ტექნოლოგია-მასალათმცოდნეობა II	წინაპირობის გარეშე		3			
კონსტრუირება II	წინაპირობის გარეშე		2			
ტექნოლოგია-მასალათმცოდნეობა III	წინაპირობის გარეშე			3		
კონსტრუირება III	წინაპირობის გარეშე			2		
სამაგისტრო ნაშრომი	სრული III სემესტრი				30	
<b>სულ</b>		<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>120</b>

- **პროგრამის ადამიანური რესურსი :** პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ თსსა აფილირებული ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორები, მოწვეული პედაგოგები, მათ შორის :

№	პედაგოგი	სტატუსი	საგანი
1	სოსო ქოიავა	მოწვეული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> <li>• კომპოზიცია I ლითონის მხ. დამუშავება ჭედვა-ჭედურობა</li> <li>• კომპოზიცია II თანამედროვე სამკაული, საიუველირო პლასტიკა</li> <li>• დეკორატიული პლასტიკა ფორმის ძერწვა რბილ მასალაში_II</li> <li>• მუშაობა მასალაში ჭებადურობა_I</li> <li>• კომპოზიცია III საგამოფენო ტიხრული მინანქარი</li> <li>• დეკორატიული პლასტიკა III ტრადიციული და თანამედროვე ფორმის სინთეზი</li> </ul>
2	ანდრო გიორგაძე	ასოცირებული პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> <li>• მუშაობა მასალაში II თანამედროვე სამკაული</li> <li>• მუშაობა მასალაში III ტიხრული მინანქარი</li> </ul>
3	ნიკოლოზ ბერიანიძე	ასისტენტ პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> <li>• მუშაობა მასალაში I ლითონის მხ. დამუშავება-ჭედვა</li> </ul>
			<ul style="list-style-type: none"> <li>• ქვა და ლითონი III</li> <li>• ტექნოლოგია- მასალათმცოდნეობა -III</li> <li>• კონსტრუირება III</li> <li>• ტექნოლოგია-მასალათმცოდნეობა -II</li> <li>• კონსტრუირება_ II</li> </ul>
4	პაატა საბაშვილი	ასისტენტ პროფესორი	<ul style="list-style-type: none"> <li>• მუშაობა მასალაში II საიუველირო პლასტიკა</li> </ul>
5	გიორგი იაკობაშვილი	მოწვეული პროფესორი	თაბაშირში ჩამოსხმა _II